გიორგი გახარია - დისციპლინით და წესების დაცვით, მაგრამ არა შეზღუდვებით და ეკონომიკის გაჩერებით, ხელი უნდა შევუშალოთ გავრცელებას და ვისწავლოთ ვირუსთან თანაცხოვრება

მობილობის ზრდის შედეგია ის, რაც დღეს ხდება, განსაკუთრებით აჭარაში, თუმცა ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს იყო აბსოლუტურად პროგნოზ-ირებადი და ჩვენ ამისთვის ვემზად-ებოდით, - ამის შესახებ საქა-რთველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამ** მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფიქსირდება ინფიცირების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, თუმცა ეს მოსალოდნელი იყო.

„ჩვენ, ჩვენს მოქალაქეებთან ყოველთვის ვიყავით აბსოლუტურად ღია, გულწრფელი და ყოველთვის ვამბობ-დით, რომ შეზღუდვების მოხსნას ლოგიკურად მოჰყვებოდა ინფიცირების რაოდენობის ზრდა. რა თქმა უნდა, მობილობის ზრდის შედეგია ის, რაც დღეს ხდება, განსაკუთრებით აჭარაში, თუმცა ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს იყო აბსოლუტურად პროგნოზირებადი და ჩვენ ამისთვის ვემზადებოდით. ჩვენ, თავიდ-ანვე, თანმიმ-დევრულად განვაცხადეთ, რომ ვირუსთან ბრძოლა შედგება რამდენიმე ეტაპისგან. რა თქმა უნდა, ჩვენი პირველი ამოცანა იყო შეკავება, რაც გულისხმობდა, ვირუსის დროში სწრაფი გავრცელების მაქსიმალურად შეკავებას, ამას თავისი ლოგიკური ახსნა ჰქონდა და ეს გახლდათ ის, რომ მაშინ, არა თუ საქართველოში, მსოფლიოში ვირუსის შესახებ ცოდნა იყო მინიმალური. რა თქმა უნდა, რესურსებიც იყო მინიმალური და ჩვენ გვჭირდ-ებოდა დროის მოგება, რაც თანმიმდევრულად და ეფექტურად განვახორციელეთ, რის შედეგადაც, მოგეხსენებათ, ჩვე-ნი ბევრი მოქალაქის სიცოცხლე გადავარჩინეთ. ეს საერთაშორისოდაც იყო აღიარებული და დღესაც აღია-რებულია. დღესაც, საქართველო მწვანე ქვეყნად რჩება", - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, როდესაც საუბარია რისკების მართვის, ადაპტაციის ეტაპზე, ეს მოიცავს სწრაფი გამოვლენის და გავრცელების შენელების ეტაპს, კლინიკურ მართვას და ადამიანის სწრაფ დაბრუნებას ნორმალურ ცხოვრებაში.

„დღეს ადაპტაციის და მართვის ეტაპზე ვართ. პირველ ეტაპზე, ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო ვირუსის გავრცელების შეფერხება დრო-ში. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადეთ, მკვეთრად დავაგდეთ მობილობა, რამაც მოგვცა შესაძლებლობა, მოგვეგო დრო. ამ დროის განავლობაში, პირველი ამოცანა იყო, პირველ რიგში, ჯანდაცვის სისტემის მომზადება, ტესტირების სისტემის მომზადება, პერ-

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 27 (10361) 28 სექტემბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთში უმაღლესი ხარისხის ჩაის სანერგე მეურნეობა მოეწყო

პროექტი ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო- კვლევითი ცენტრის, დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის" თანამშრომლობით.

„მეჩაიეობა გურიის რეგიონისათვის პრიორიტეტული მიმართულებაა მოსახლეობის დასაქმების და შემოსავლების ზრდის მიზნით. მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება დარგის მხარდამჭერი საქმიანობები: ქართული ჩაის ფესტივალი, ტექნოლოგების გადამზადების პროგრამა, ჩაის სანერგე მეურნეობა და ქართული ჩაის პოპულარიზაციის მხარდამჭერი ღონისძიებები. ეს მხარდაჭერა მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდება," - აღნიშნა ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ალეკო მამეშვილმა.**

როგორც სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ამირან გირკელიძემ** განმარტა სანერგე მეურნობაში მოხდება „კიმინის" და „კოლხიდას" ჯიშის 50 000 ჩაის ნერგის გამოყვანა. მოეწყობა სადედე პლანტაცია. მიღებულ ნერგებს მოიხმარენ ფერმერები საკუთარ ნაკვეთებში გასაშენებლად. თანამშრომლობის ფა-რგლებში მუნიციპალიტეტმა მოახდინა სათბურის, სარწყავი სისტემის, კვალსათბურების მო-წყობა. ცენტრის სპეციალისტების მონაწილეობით მიმდინარეობს ნერგების გამოყვანის სამუშაოები.

ლაითურის მოსახლეობას დაბაში კორონავირუსის შემთხვევების მკვეთრი მატების გამო გადაადგილება შეეზღუდათ

ალიონი. 25 სექტემბრიდან დაბა ლაითურში კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევების მკვეთრი მატების გამო გადაადგილება შეიზღუდა.

გაზეთი „ალიონი" ამ თემაზე დაუკავშირდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს დაბა ლაითურის ტერიტორიულ ერთეულში **რეზო მესხიძეს** და სთხოვა კომენტარი:

– რამდენიმე დღის წინ დაბა ლაითურის საჯარო სკოლის ერთ-ერთ პედაგოგს კორონავირუსი დაუდასტურდა, რომელიც სასწავლო წლის დაწყებიდან სკოლაში დადიოდა და გაკვეთილებს ატარებდა. ამ ფაქტის გამო ლაითურის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყდა და სკოლა ორლაინ სწავლებაზე გადავიდა. ეპიდემიოლოგებმა აღნიშნული პედაგოგის კონტაქტები გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ კორონავირუსით დაინფიცირებული კიდევ სამი პედაგოგი იყო.

1 ოქტომბრიდან საბავშვო ბაღებში უნდა დაწყებულიყო სასწავლო პროცესი და აქაც პრობლემა შეგვექმნა. დაბა ლაითურის №1 საბავშვო ბაღის წარმომადგენელს აღმოაჩნდა კორონავირუსი.

საქართველოში პირველ ეტაპზე კორონავირუსით დაადებულთა რიცხვი არ იყო ისეთი, როგორც ეს დღეს ლაითურშია. კორონავირუსი უკვე დაუდასტურდა 32 ლაითურელს და ისინი გადაყვანილი არიან ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის ცხელების ცენტრსა და სპეციალურ კლინიკებში, ხოლო ერთი - ქალაქ თბილისში.

ჩვენს კითხვაზე არის თუ არა ლაითურში დაინფიცირებულთა რაოდენობის ზრდა, რა ინფორმაცის ფლობს ამ თემაზე, რევაზ მესხიძემ გვიპასუხა, რომ შესაძლოა დაავადებულთა რაოდენობა გაიზარდოს, რადგან ეს 32 ადამიანი კონტაქტში იყო დაბის მოსახლეობასთან და ახლა მედიკოსები ყოველდღიურად ატარებენ ტესტურ გამოკვლევებს. დაბაში მუდმივად მიმდინარეობს სადეზიფექციო სამუშაოები და ჩვენი საუბრის ჩაწერის დროს (25 სექტემბერი, დღის

12 საათი) მიმდინარეობდა დაბის ადმინისტრაციული შენობის და ბაგა-ბაღების შენობების სადეზიფექციო პროცედურები.

მესხიძე წუხს, რომ მოსახლეობა პანიკაშია და გადაადგილების შეზღუდვა მათთვის ძნელად შესაგუებელია, რადგან ისინი ოზურგეთში ჰყიდნენ სოფლის მეურნეობის ნამეტ პროდუქტებს და იქედან მოჰქონდათ ფქვილი და სხვა აუცილებელი კვების პროდუქტი.

– სავარაუდოდ 12 დღეში შეზღუდვა მოიხსნება –გვითხრა მან.

გაზეთი „ალიონი" დაუკავშირდა გურიის სამხარეო ადმინისტრაციას:

– დაბის მოსახლეობას პრობლემები არ ექნებათ ფქვილით და სხვა აუცილებელი საკვები პროდუქტების მომარაგების საქმეში. დაბაში ივლიან სადისტრიბუციო ავტომანქანები და არანაირი დეფიციტი არ ექნებათ.

ნებისმიერი პრობლემის შესახებ მათ შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ მათთვის სპეციალურად შექმნილ ცხელ ხაზზე: **595 36 64 76.**

გასულ პარასკევს კორონავირუსის 13 შემთხვ-ევა გამოვლინდა ქ. ოზურ-გეთში. ყველა სამკერვალო ფაბრიკის „აჭარა ტექსელი" თანამშრომლები არიან.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გიორგი გახარია - დისციპლინით და წესების დაცვით, მაგრამ არა შეზღუდვებით და ეკონომიკის გაჩერებით, ხელი უნდა შევუშალოთ გავრცელებას და ვისწავლოთ ვირუსთან თანაცხოვრება

იყო, პირველ რიგში, ჯანდაცვის სისტემის მომზადება, ტესტირების სისტემის მომზადება, პერსონალის გადამზადება და კიდევ ბევრი სხვა მიზანი, რომელიც უნდა განგვეხორციელებინა და რომელიც განვახორციელეთ. თუმცა, გასაგები იყო, რომ ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობის და მკვეთრი შეზღუდვების დიდხანს გაგრძელება იყო შეუძლებელი და ყველამ ერთად, ამ შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა დავიწყეთ. ეს იყო აბსოლუტურად გამართლებული და სწორი ნაბიჯი. დღეს, ინფიცირებულების რაოდენობა გულისხმობს იმას, რომ ჯანდაცვის სისტემა სრულად არის მზად იმის-თვის, რომ კლინიკურად მართოს ეს პროცესი", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი გახარიას თქმით, მესამე, ყველაზე მნიშვნელოვან, ვირუსის მართვის ეტაპზე, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება სისტემა, რომელმაც სწრაფად უნდა გამოავლინოს ინფიცირების შემთხვევები, რითაც პირველ რიგში, უნდა შეანელოს ინფექციის გავრცელება და შემდეგ, კლინიკურმა ჯგუფმა ეფექტურად უნდა უმკურნალოს, გამოაჯანმრთელოს მოქალაქეები, რომლებიც სწრაფად დაუბრუნდებიან ნორმალურ ცხოვრებას.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, სრულფასოვნად მუშაობს ცხელების ცენტრები, რომლებიც ვირუსის გამოვლენაში პირდაპირ მონაწილეობენ, ეფექტურად მუშაობს 112-ის სისტემა, რომელიც მოქალაქეების პირველივე ზარზე რეაგირებს და შემდგომ, პროტოკოლის მიხედვით მათ ჩვენებების შესაბამისად ამისამართებს.

„ეფექტურად მუშაობს სწრაფი კონტაქტების დადგენის სისტემა, რომელშიც მონაწილეობს სხვადასხვა უწყება, რაც ნიშნავს იმას, რომ გამოვლენილი ინფიცირების შემთხვევაში სისტემა იწყებს მის ირგვლივ კონტაქტების სწრაფ გამოვლენას და რისკების დაზღვევას. ასევე, მოგეხსენებათ, რომ ეფექტურად მუშაობს საკარანტინო სისტემა და რაც მთავარია, ყველა ამ შედეგის, ამ ეტაპების შემდეგ ეფექტურად მუშაობს ტესტირება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ, როდესაც ვირუსის გავრცელება დაიწყო, თებერვალ-მარტის თვეში, ქვეყანაში ვაკეთებდით 200 ჩღ-ტესტს, მარაგებიც კი არ გვქონდა. დღეის მდგომარეობით, სექტემბერში საქართველოს ჯანდაცვის სიტემა დღეში საშუალოდ აკეთებს 9 000 ტესტს. რა თქმა უნდა, დრო იყო საჭირო, რომ მოვმზადებულიყავით და ამას სჭირდებოდა, როგორც რესურსები, ასევე ადამიანების გადამზადება. გარდა ამისა, მარტში ***PCR-tests*** *ქვეყანაში აკეთებდა მხოლოდ ერთი - ლუგარის ლაბორატორია, დღეს არის 22 ლაბორატორია, სადაც* ***PCR-testis*** *გაკეთება შესაძლებელია",* - განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერის განმარტებით, ვირუსის მართვის კუთხით დაგროვილი საერთო ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებები შევიდა კლინიკური მართვის ნაწილშიც და ამოქმედდა როგორც ბინაზე, ასევე - კოვიდ-სასტუმროებში მკურნალობა, ხოლო მძიმე პაციენტები სტაციონარში რჩებიან.

კლინიკური მკურნალობის ახალი სქემა, რომელიც ბოლო 4 თვის განმავლობაში მომზადდა, გულისხმობს მძიმე შემთხვევების, მათ შორის, რისკჯგუფების, ქრონიკული დაავადებების მქონე, ან 65 წელს გადაცილებული მოქალაქეების სტაციონარში მკურნალობას, შედარებით მსუბუქი შემთხვევები, რომელთაც არ სჭირდებათ 24-საათიანი სამედიცინო დახმარება, კოვიდ-სასტუმროებში გადადიან, ხოლო საერთოდ მსუბუქი, ან უსიმპტომო შემთხვევები - სახლში მკურნალობენ. მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, პირველადი ჯანდაცვის სისტემა კლინიკური მკურნალობის ახალი სქემაზე უკვე გადამზადებულია.

„კლინიკური მკურნალობის ახალი სქემა უკვე ამოქმედებულია აჭარაში და ეფექტურად მუშაობს. კლინიკური მართვის მიმართულებით სრულ მენეჯმენტს ახორციელებს ჯანდაცვის სამინისტრო და ამას ეფექტურად აკეთებს ქვეყნის მასშტაბით. ეს საკმაოდ კარგად გამოჩნდა აჭარაშიც,"- განაცხადა პრემიერმა.

გიორგი გახარიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მნიშვნ-ელოვანია მოქალაქეები სწრაფად დაუბრუნდნენ აქტიურ ეკონომიკურ ცხოვრებას და ისწავლონ ვირუსთან თანაცხოვრება.

„სწორედ აქტიური ეკონომიკური ცხოვრება და სამუშაო ადგილების შენარჩუნება იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჩვენ სწრაფად დავიწყეთ შეზღუდვების მოხსნა ეტაპობრივად, ფრთხილად, მაგრამ საკმაოდ სწრაფად სხვებთან შედარებით. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, *ვირუსი არსად წასულა, ჩვენთან არის და როდესაც ვამბობთ, რომ ადაპტაციის ეტაპზე ვართ, ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა ვისწავლოთ ვირუსთან თანაცხოვრება. ეს მარტივი წესების დაცვას ნიშნავს - უნდა ვატაროთ პირბადე, დავიცვათ ჰიგიენის ელემენტარული წესები და დისტანცია. რაც უფრო მაღალი დისციპლინა გვექნება ამ მოთხოვნების დაცვაში, მით უფრო დაბალი გვექნება გავრცელება და მით უფრო ნაკლები იქნება დაწოლა როგორც ეკონომიკაზე, ისე ჯანდაცვის სისტემაზე. ჩვენ ადაპტაციის და მართვის ეტაპზეც უნდა ვიყოთ მაქსიმალურად დისციპლინირებულები, რათა მოვიგოთ დრო, ვიდრე მსოფლიოში ვაქცინა შეიქმნება და არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ცალკე აღებული რომელიმე სახელმწიფო, მათ შორის საქართველო ვირუსს დაამარცხებს,"*- განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მკაცრი სისტემური შეზღუდვები ქვეყანაში არ დაწესდება და ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც თეორიულად შეიძლება საჭირო გახდეს, მხოლოდ მიზნობრივი და ლოკალური იქნება.

„როდესაც ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და მკაცრი შეზღუდვების დაწესების შესახებ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინეთ როგორც ქვეყნის რესურსები, ასევე ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობა. მოგეხსენებათ, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ბევრ განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით სუსტია, მაგრამ ამ შემთხვევაში საკმაოდ კარგად გაუმკლავდა ამ გამოწვევას. არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ 6 თვეში ჯანდაცვის სისტემა რადიკალურად შეიცვალა და უნდა ვიყოთ მზად იმისთვის, რომ მკაცრი წესებით, დისციპლინით, მაგრამ არა შეზღუდვებით და ეკონომიკის გაჩერებით, ელემენტარული წესების დაცვით, პირბადით, დისტანციით ხელი შევუშალოთ ვირუსის გავრცელებას. ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც თეორიულად შეიძლება დაწესდეს, იქნება მხოლოდ და მხოლოდ მიზნობრივი და ლოკალური. ეს არ იქნება სისტემური შეზღუდვები ქვეყნის მასშტაბით, ეს ვერ იქნება სისტემური შეზღუდვები ჩვენი ცხოვრების ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის ეკონომიკა, განათლება, ან თუნდაც პოლიტიკური პროცესი, საარჩევნო პროცესი,"- განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრება უნდა აღდგეს, მათ შორის, უნდა აღდგეს სასწავლო პროცესიც და მოსწავლეები სასწავლო კლასებში უნდა დაბრუნდნენ. სასწავლო პროცესის აღდგენის ეტაპებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო დღევანდელ სხდომაზე განიხილავს.

„რისკების გათვალისწინებით, წერტილოვანი შეზღუდვებით, ქვეყანაში ნორმალური ცხოვრება უნდა აღდგეს, მათ შორის, სასწავლო პროცესიც უნდა აღდგეს და ბავშვები, განსა-კუთრებით დაწყებითი კლასის მოსწ-ავლეები, სასწავლო კლასებში უნდა დაბრუნდნენ,"- განაცხადა პრემიერმინისტრმა.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

რა მესიჯები მოვისმინეთ დაბა ნასაკირალში შეხვედრაზე, მოიხაზა თუ არა 2021 წლის არჩევნების კონტურებიც

ალიონი. დაბა ნასაკირალში 300-ზე მეტი ადგილობრივი გურიის მაჟორიტარობის კანდიდატს ვასილ ჩიგოგიძეს შეხვდა.

შეხვედრაში მონაწილეობდა აჭარის დელეგაცია აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **დავით გაბაიძის** ხელმძღვანელობით.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** უძღვებოდა.

მერმა მადლობა გადაუხადა ნასაკირალელებს იმ დიდი თანადგომისთვის, რაც მათ გამოიჩინეს 2017 წელს მისი მერად არჩევნების დროს და აღნიშნა, რომ იგი ახლაც გრძნობს მათ მხარდაჭერას, მოსწონს ის გუნდი, რომელიც ჩამოყალიბდება 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ და ფიქრობს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას. მანვე ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლებიც ხორციელდება დაბა ნასაკირალში და იმ ცალკეულ გადაუჭრელ პრობლემებზე, რომლის გადაჭრას სამომავლოდ აპირებენ.

მერის თქმით, მათ გეგმაში დაბა ნასაკირალში სამაცივრე მეურნეობის მოწყობაცაა, რომელიც აქაურებს საშუალებას მისცემს სასურველ დროს მოახდინონ ხილისა და ციტრუსის შენახვა-რეალიზაცია.

კონსტანტინე შარაშენიძემ ამ შეხვედრაზე გაახმოვანა, რომ ოზურგეთში აპირებენ საფერმლო სასწავლებლის აღდგენას, რისთვისაც ამჟამინდელი კულტურის ცენტრის შენობა გარემონტდება და იგი კვლავ ამ სასწავლებელს დაეთმობა. ამ საქმის ერთ-ერთ ინიციატორად და თანაპარტნიორად მან ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი დაასახელა.

ნასაკირალელებს გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ** მიმართა, რომელმაც ისაუბრა იმ პროექტებზე რაც ქვეყანაში ხორციელდება.

ბუნებრივია, შეხვედრაზე გამოვიდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **ვასილ ჩიგოგიძე,** რომელმაც აქაურებს თავისი ბიოგრაფია და დეპუტატობის კანდიდატის ცალკეული ხედვები გააცნო.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ჩოხატაურელი სტუმრის, „შალომ კლუბ გურიას“ თავმჯდომარის **ზაურ ოსეფაშვილის** გამოსვლას, რომელიც 2003-2006 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას ასრულებდა და იმჟამინდელ მაჟორიტარ დეპუტატ ვასილ ჩიგოგიძესთან ერთად ეჭიდებოდა არსებულ რთულ პრობლემებს. ამ სიაში მაღალმთიანი დასახლებების აჭარელი მოსახლეობაც იყო, რომელთა მიერ დაყენებული არაერთი საკითხი დადებითად გადაწყდა. მან ერთ-ერთ მაგალითად ვასილ ჩიგოგიძის მიერ კურორტ ბახმაროში, ფაფარას საზაფხული დასახლებაში ელექტროხაზების გაყვანა დასახელა, რომლითაც ოზურგეთში მცხოვრები აჭარელი მოსახლეობაც სარგებლობს.

დაბის მცხოვრებთა სახელით, ნასაკირალი ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი **შოთა ართმელაძე** გამოვიდა.

ლიტერატურული გურია

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი № 9, (12), სექტემბერი, 2020წ

სტუმარი

ნინო ქანთარია

***

სულს არაფერი ეცვა,
მაგრამ ვერ იგრძნო კაცმა,
რომ ისევ გაქრა ზეცა,
ისევ არგუნეს ჯვარცმა.
ზღვაში ობოლი იწვა,
ტალღა ეფარა ღამე,
გვიკვდება დედამიწა,
დროა, ვუშველოთ რამე.
მგლები, გავიგე უკვე,
ლომებს აჭრიან მკლავებს,
ღმერთო, რა გამხდის უკეთ,
როცა სიმართლეს კლავენ.

***

არ დამინდო დრომ,
მესროდნენ ისრებს,
არ ეგონათ,რომ
უფალი მისმენს.
მე მტკივა დღესაც
ცრემლით ნაბანი.
მგონი, სიტყვებსაც
ვერც კი ვაბამდი.
ვსაუბრობ ღიად,
ხშირად, სულ მარტოს,
ვერ გამიგია,
ასე რას ვნატრობ.
მზეს ვეუბნები,
ახლა უშენოდ
სხვა მზერას
ვხვდები,
უნდა ვუშველო.
ვიცოდი ახლა,
ამ ბნელ ღამეში
არ სურდათ მაღლა
მე რომ გამეშვი.
ვაღმერთებ მუდამ
უფუნჯო მხატვარს,
როცა კი უნდა,
სულსაც რომ ხატავს.

***

მაქციეს ზურგი,
მესროლეს ტყვია,
ახლა კი უკვირთ,
არაფრად თვლიან.
სულ არ მატყვია
ჭრილობა სულზე,
ახლა ნატყვიარს
შორიდან ვუმზერ.
ზღვა ისევ ღელავს,
დავუშვი ღუზა,
ვერ ვუგებ ყველას,
მაფიქრებს მუზა.
დუმილი ამხელს,
სული კვლავ გოდებს,
ქარი კი არხევს
ნელ-ნელა ფოთლებს.
არ მიკვირს, რატომ?
ტვირთი აქვს პოეტს,
დარდი მას მარტო
არასდროს ტოვებს.

თემურ მარშანიშვილი

მამას

შვიდი წლის შემდეგ ვაღებ
გარდერობს,
შენს პიჯაკს ვირგებ, ბეჭი ამიწვა...
დედის თხოვნას და სურვილს
ვასრულებ,
თორემ ამ პიჯაკს როგორ
ჩავიცვამ?!

შენს ჯიბეს ხელი პირველად
ჩავყავ
და შიგ რა ვნახე? დანა, შაური...
ორივე ჩემად ვიგულე, მამი,
ო, მაპატიე დანაშაული!

იმ დანით ახლა ახალ კვირტს
ვამყნი,
შენს ნამყენს უკვე ვერ ვწვდები
კიბით.
რაც შეეხება ხურდას - ანტიკვარს,
მას შემდეგ დამაქვს თილისმად
ჯიბით.

შვიდი წლის შემდეგ ჭურის თავს
მოვხდი,
ვერ ვიცილებ შენს ბებერ შარიქას,
შენ რომ დაწურე, იმ ძელგი
ღვინით
მეც შენნაირად ვავსებ ჭარიკას.

სოფელში ვიღაც უცხო
ჩაივლის...
ვცდილობ, მივბაძო მე შენს
მარიფათს,
შვილებს ვეძახი: აბა, ბიჭებო,
ღვინო მიართვით სტუმარს, არიქათ!

მემძიმა, მაგრამ როგორ დავუშვებ
ძირს შენს აწეულ დვირო-ხარიხას,
რომ შენნაირად მეც დამიტირონ,
რომ თქვან ჰგავდაო მართლაც
ხარი ხარს.

1999 წელი

საგირგოლოს ღელე

ანთაძეთა ვენახში რომ
მოპარული ბალი ვჭამე,
იმ ბლის გემო ახლაც მახსოვს,
იმ ბალს ძირში ვენაცვალე.

შოლტით ბაბი რომ მოგვდევდა,
— აცალეთო დამწიფება,
კისერი არ მოიტეხოთ
კოკათელმა ღანჭიპებმა.

პირჯვარს რომ გადისახავდა.
მუდარით და მშვიდ ტონით,
პწკალას შემოგვაშველებდა, —
ჩამოითო მშვიდობით.

მოპარული კიტრიც მახსოვს,
ძაღლის კბენაც ანიჩკასი,
წყევლაც მწარე, საშინელი,
რა შევჭამეთ ამის ფასი?!

მისი სინანულიც მესმის:
„ენა ძირში გამიხმება,
კი, დაგწყევლეთ, ნენა, მარა,
წყევლა ლოცვად აგიხდებათ“.

წისქვილებიც მახსენდება,
ავუშლიდით ყველას ღარებს,
სარეკელა დაჩიჩნიდა
მარცლის მღერღავ დოლაბს
თვალებს.

მეწისქვილე რომ დასჭექთა,
რომელი ხარ მაქანეო,
სახლი არ გაქ, მამაძაღლო?
წადი, ნუ გამაქანეო.

საგირგოლოს ღელეში რომ
როდიონის ბალი ვჭამე,
იმ ბლის გემო ახლაც მახსოვს,
იმ ბალის ძირს ვენაცვალე.

ნეტავ ახლა როგორია
ჩვენი პაწა საგირგოლო?
უფლით, იქნებ დაგვიზარდოს
თაობები სადიდგორო.

სოფო ღლონტი

***

მარადიულად მოგიხმობ ღმერთო,
ამრავლე ჩემში ტრფობა და ლექსი,
დიდება შენდა, შენ ერთადერთო,
რასაც ლექსად ვწერ, ის შენგან
მესმის...
მარადიულად მოგიხმობ ღმერთო,
ეს პოეზია მიკურთხე მარად,
რომ ვარსკვლავები ვარსკვლავებს
შევრთო
და სავსე მთვარე ვიფარო ფარად...

***

ძლიერ გაწვიმდა,
უზნეობა მოდის
თქორებად,
არც სიმძიმილი
ახლავს ირგვლივ
გათელილ სინდისს,
სულ არ აყოვნებს
სულიერი
გამათხოვრება,
ამაოებით
გაჟღენთილი
ცხოვრება მიდის...
ჟანგი ედება,
რელსებიდან გასულ
ლიანდაგს
და გზააბნეულ
მემანქანეს ეცვლება
გზები,
აქ ყოველივეს
ერთმანეთი უფრო
მეტად სძაგს,
აქ საფლავები
იჭრებიან საკუთარ
ნებით...
სინდისის ტოტზე
დანამყენდა
უსინდისობა,
ჟესტებითა და
მიმიკებით იშლება
მიმი,
არავის ახსოვს
ზეციური
მარადისობა,
აქ ხომ ცინიზმი
შეჰპარვია
გულწრფელის
ღიმილს...
ძლიერ გაწვიმდა,
უზნეობა მოდის
თქორებად...

***

საოცარია ჩვენი ბედი,
ყოფნა-არყოფნა,
დღეს გამოისხა
სასიცოცხლო კვირტი
ნაყოფმა,
ამაყად დგანან
დახუნძლული ჩვენით
ხეები,
მე წუთისოფლის
აღმართ-დაღმართს
მედგრად შევები,
გამამხნევებს და
შემაშველებს ხელებს
ქარები,
თუ დავიღლები,
კვლავ ჩემს ფესვებს
შევეფარები...

***

უნდა გწამდე
უნდა გწამდე, უნდა
გწამდე, მე უნდა
გწამდე...
ბაგეებიდან ამოსული
ყოველი სიტყვა
ისე წმინდაა, რომ
ღაღადებს თვით
მეცხრე ცამდე,
ეს მაჯისცემაც
შენთვის რითმავს: ჰო,
უნდა გწამდე!
ახლა შენამდე
მანძილია, სივრცეა შორი,
დრო უმოწყალოდ
ჩამომიკრავს საათზე
„ტიკ-ტაკ“,
მთვარემ კი იცის,
საიდუმლო, ოცნება
ორის,
რომ ჩვენი გული
მონატრებას მალავს
და იტანს...
ზოგჯერ ეჭვებმაც
გადაგვაკრეს
თვალებზე ლიბრი,
ეს ხომ მცდარია,
დამიყვავე, ვაიმე
დედავ,
ტრფობას, სიყვარულს
არ უხდება ყოჩობა,
ჯიბრი,
თუკი მიყვარხარ,
მხოლოდ რწმენის
თვალებით გხედავ...
უნდა გწამდე, უნდა
გწამდე, მე უნდა
გწამდე,
ბაგეებიდან ამოსული
ყოველი სიტყვა
ისე წმინდაა,
რომ ღაღადებს თვით
მეცხრე ცამდე,
ეს მაჯისცემაც
შენთვის რითმავს, ჰო
უნდა გწამდე
უ ნ დ ა გ წ ა მ დ ე !

გელა კიკოლაშვილი

***

ჩემი სიყვარული ამაყია დაჭრილ
მგელივით
და შეწყალებას არა თხოულობს.
ყველა სიზმარი რომელშიც კი შენ
გაგროვებდი,
დამეფანტა და ქარებმა ხეზე გაჰკიდეს.
მე ვიმახსოვრებ შენს ღიმილს
და თიხისფერ მუხლებს,
როგორც ხიდს,
რომელზედაც ვერ გადიან
აუღელვებლად.
მე შემიძლია აგარიდო ათასჯერ
მზერა, მაგრამ მახსოვდე.
ამაყია ჩემი სიყვარული, როგორც
მდინარე წყალუხვობით
გულმოცემული.
ნუ მოუყვები მას ტკივილზე და
განსაცდელზე.
იქნებ გვონია გააკვირვო
ღამისთევებით?
დიდი ხანია შეეჩვია ყველაფერ ამას,
როგორც ტყე ფრინველს
და მინდვრები პურის თავთავებს.
მიდის თავის გზით და ჭრილობას
ენით ილოკავს არა იმიტომ, რომ
ტკივილი
უცხოა მისთვის, არ უნდა გეში რომ
აულონ
დაქცეულ სისხლზე და მიუსწრონ
ღონეგამოცლილს..ამაყია ჩემი
სიყვარული.

***

გაზაფხულზე ავუყვეთ აღმართს
რადგან არაგვი გაზაფხულზე
არიგებს სიზმრებს,
ვარ შენით სავსე და არაგვზე
დამდგარი მთვარით.
მე არ მითქვამს შენთვის
მიყვარხარ,
რადგან არაგვი გაზაფხულზე
არიგებს სიზმრებს.
არ მოსულა გაზაფხული
მინდვრების მხრიდან.
მოვიდა მტკვარზე ცოტა
მუხლი ჩამოასვენა
და ყვავილებით აუყვა არაგვს.
ამ ხეობაში გაგიშლი კარავს,
რადგან ცივია ღამით მიწა
და ხვედრი ქალის.
შენ ნუ შეგაკრთობს ხეობებში
ჩაღვრილი ნისლი.
წუხელ აქ მთვარემ გუდამაყარში
დაიხრჩო თავი და გამორიყავს არაგვი
დილით.
მე არ მითქვამს შენთვის მიყვარხარ,
რადგან არაგვი გაზაფხულზე
არიგებს სიზმრებს...
..

ნანა ტრაპაიძე

იქ, შემოქმედის ტაძრის ეზოში

ყველაზე მეტად (რადგან დედა ხარ),
შვილებს და დედებს რწმენით
გვიშველი,
ღვთისმშობლის შობა ზეცით გვენახა,
ჩვენ ფეხაკრეფით და ფეხშიშველი
წვიმაში, ქარში, უკუნ ღამეში
მივუყვებოდით სავალს შუკიდან,
როს კომუნიზმის ცოფით დაგეშილ
გოშიებს ენოთო ფანრის შუქი და
გზა-გზა გვეძებდნენ, როგორც
ტუსაღებს,
(მათ გულცივ მზერას ახლაც
გავურბი),
უღმრთოდ მალავდნენ ყალბ და
ცრუ სახეს,
თუმცა სანთელი მიჰქონდათ უბით.
იმ ღამის მადღი გვენთო კელაპტრად,
რწმენის სიმტკიცის არ და
ვერმოშლის,

ჩვენი სანთლები ერთად ელავდა
იქ, შემოქმედის ტაძრის ეზოში.
21.09.20.

ცხოვრების ტვირთი

ბედისწერა დაიწერა ჩემთვის,
დრო-დრო სევდა მეძალება უფრო,
ცრემლის წვეთი მდინარის
ზვირთს ერთვის,
სუფთა ფურცელს უნდა ვესაუბრო.
ნისლი ფიქრის მდუმარებას
ართობს,
ეფინება მთის ყორნისფერ
ფერდობს,
გზასაყართან არ დამტოვო მარტო,
სიმართლის გზა დამანახე,
ღმერთო!
ხშირად სალ კლდედ სეტყვას
მივეგებე,
ცხოვრების ტვირთს ჩემი ჯინი
სჭირდა,
ვერ გაუძლო, ვერ ატარა ეგებ
ქალურ მხრებმა, სუსტმა, ერთმა
ციდამ.
ახლა უფრო დამიმძიმდა, მგონი,
ის სიმძიმე, ვეება და მხოლოდ
ჩემი, დარდი ჩემთვის მონაგონი
რა წყალს მივცე, რა ქარს
გავაყოლო?!
ცის ნაცრისფერ სიფერმკრთალეს
ვდარდობ,
(უსაშველოდ რომ მომწონდა ერთ
დროს),
გზასაყართან ნუ დამტოვებ მარტო,
სინათლის გზა დამანახე, ღმერთო!
28.07.20.

ელენე გურგენაძე

***

ისევ სიცივე და ისევ წვიმებია,
ისევ აირია ამინდები...
თითქოს საუკუნე აღარ მძინებია,
თითქოს გიკვდები და არც გიკვდები...

ისევ სიშორე და უძილობა,
გარეთ წვიმიანი ივლისია...
ისევ უშენობა, ისევ უშვილობა,
ფიქრშიც გამუდმებით თბილისია...

სევდებს დაათენდათ დღესაც მერამდენედ,
სულში ტკივილები ვერ დამიტევია...
თვალებს გამფრინვალე ჩიტებს მივადე-
ვნებ,
ვითვლი, მერამდენე ღამე მითევია...

თავთან დაკიდული ჩემი კალენდარი
დღეებს ისევ მესვრის ცივს და
ქარიშხლიანს,
მოდი, სიზმრად მაინც, გულში ჩამეკარი,
სანამ ეს სევდები ცრემლებს ამიშლიან...

ისევ სიცივე და ისევ წვიმებია,
ისევ აირია ამინდები...
ზუსტად იმდეჯერვე, რაც არ მძინებია,
ზუსტად იმდენჯერვე დაგიდნები...

მინდა, გაოცებით ისევ ჩემს წინ იდგე...
მალე გაილევა ეს დრო, ეს წამები...
შენთან შეხვედრას კი, როცა წარმოვიდ-
გენ,
ისევ მისველდება ცრემლით წამწამები...

ისევ სიშორე და უძილობა,
გარეთ წვიმიანი ივლისია...
ისევ უშენობა,ისევ უშვილობა,
ფიქრშიც გამუდმებით თბილისია...

დედას

დედაჩემის თვალებს ვნატრობ
დაღლილს,
ჩემზე ფიქრით რომ გაჰყურებს შარას...
მონატრება ბოლოს ისე დამღლის,
ეს ზაფხულიც ვერ ჩაივლის
მშრალად...

მთვარე ღამის საწოლში რომ ჩაწვა,
ვიცი, ახლა შვილის ხელებს ნატრობ,
გეხვეწები, არავისთან არ თქვა,
დარდებთან რომ მიგატოვე მარტო...

ალბათ მალე, შემოდგომის დამდეგს,
სევდა შემშლის კიდევ უფრო მეტად...
ჯერ არ ვიცი,ზუსტად როდის, რა
დღეს,
მზეს გაჩუქებ, საკუთარ მზეს დედა!

ტანზე ისევ მონატრებას ვიცვამ,
შენი ცრემლის დაფიცებას ვბედავ...
დღესდღეობით რაცა ვარ და ვინც ვარ,
ლომის წილი შენ მიგიძღვის დედა!

***

თითქოს გუშინ ამოხეთქა მარტმა,
ჭრელ ქათიბში გახვეულა ბაღი...
გამიცოცხლდა ძველისძველი ნატვრა,
რომ ვიხილო ვარდისფერი თაღი.
მთის წვეროებს მზე დააფენს სხივებს,
ააყვავებს ირგვლივ მალე აპრილს,
ტანთ ჩააცმევს შიშველ ხეებს,
ქვრივებს...
სულს გამითბობს ყვავილები ატმის.
კვირტებს გული დასკდომიათ უკვე,
ალუბლები მოწყალებას ითხოვს,
ცხრათვალა მზეს მარტი ისე უყეფს,
სურს, ზამთარი დააბრუნოს თითქოს.
ირგვლივ ქარი ფორიაქობს ურჩად,
ჩემი სული მუდამ აპრილს ელის,
შეპრეკილ მარტს ბოლო აღარ უჩანს,
სიცივისგან მიკანკალებს ხელი.
ძველებურად ლექსის წერად ავტყდი,
ალუჩებიც დახმარებას ითხოვს...
ხეებს კვირტებს ისე აცლის მარტი,
სურს ზამთარი დააბრუნოს თითქოს.

***

მზე სხივებით მეფერება მყვრიმალზე,
შენ ღიმილებს გაშლილ თმებში
მიქარგავ,
და ფიქრები მაყენებენ ყირაზე,
ამბობენ,რომ უცნაურად მიყვარხარ...
გვირილები მიცვივიან სულიდან,
შენს ღიმილებს ვხატავ რძისფერ
ზეცაზე,
შენზე ფიქრით მიცახცახებს სული და
მოდი, ისევ დამამშვიდე, ეცადე!

ჯემალ (დავით) დობორჯგინიძე



დედულეთის ზაფხული

ტყის პირას ნეშოს კარვებს,
კორდებზე თხების არვებს,
ფიჩხის ტკრციალა კოცონს,
ვერ დავივიწყებ, მომწონს;
ცეცხლის პირს კვახს და სიმინდს,
მარცვლის ტკაცუნს და სივილს,
რიკს, ლახტს და კენჭაობას,
ხის ხმლებით კეჭნაობას,
ბილიკზე ეკალ ხვინჭებს,
მეგობარ გოგო-ბიჭებს,
გულის ღადარში დაფლულს,
რა დამავიწყებს ზაფხულს!

ჩემი ტყუპი დები

როგორც შუაზე გაჭრილი
ვაშლის ნაჭრები, ჰგვანან
ერთმანეთს ჩემი დებიც -
ტყუპი ნინო და ნანა.
მღერის და ციცქნა თითებით
ხმიანობს პიანინო,
აღარ მჭირდება ფიქრი -
ვიცი, ის არის ნინო.
ეს, თოჯინას რომ ვარცხნის,
წეღან რომ აბანავა,
არც ახლა მინდა ფიქრი -
ვიცი, რომ არის ნანა.
როცა თოჯინას სძინავს,
როცა დუმს პიანინო,
რომელი არის ნანა?
რომელი არის ნინო?

ჯანსულ ჩარკვიანი ლანჩხუთში. ფოტო ჯ. დობორჯგინიძის არქივიდან

ოტია ტრაპაიძე

***

ვერ ვივარგე თუ არ გამიმართლა,
ეჭვიან ფიქრებს ფანტავს ქარები,
ერთი კი ვიცი, მაცდურ სიყვარულს
აღარასოდეს გავეკარები.
მაღლა, გორაკზე ჰყვავის ვარდები,
მგონი, იქ უკვე გაზაფხულია,
ჩემს გულში – რა ვქნა, წამი ყოველი
სევდის ძაფებით მოქარგულია.
არ მიძებნია სხვა სიყვარული,
ხშირად ვიგონებ დღეებს წინანდელს,
მახსოვს, სულ მდევდა სევდა ფარული,
გული ნახევრად მას ვუწილადე.



გამოუცნობი ფიქრით დამთვრალი
ჩამიყოლია თითქოს მორევმა,
რაც თავი მახსოვს, თავს ვეომები,
დღემდე ვერ შევძელ მისი მორევა...
სასტიკი იყო ის განშორება
აღსავსე ცრემლით, ჩუმი გოდებით,
აჰა, სრულდება ჩემი ცხოვრება,
ხელს მიწვდი, მაგრამ არ გეცოდები.
ყველაფერ ამას ვხედავ და ვწუხვარ,
ნელდება, ქრება სუსტი ნათელი,
ვარ და არცა ვარ, მიჭირავს თითქოს
სიცოიცხლის ძაფი უკანასკნელი.

***

როცა სტრიქონთან ღამეებს ვათევ,
რითმებს ლანდივით რატომ ეხები,
რად ჩამჩურჩულებ ნაზად, ღვთაებრივ,
„ახალს რას დაწერ?“ – რად მეკითხები.
ბუხარში წიფლის ღადარი იწვის,
იწვის და ქრება ცეცხლის სვეტები,
მე სიცოცხლეს ვგრძნობ და მიხარია,
შენ კი ბუხართან დაეხეტები.
იქნება, იგრძნო ქალის გუმანით
სიტყვებთან ბრძოლის წვა და სიმძიმე,
იქნება იგრძნო, რას ნიშნავს ლექსი,
რას ნიშნავს თუნდაც წერტილი, მძიმე.

ჰოდა, იცოდე, მკლავს პოეზია,
ქარიშხლის გრგვინვას ჰგავს ლექსთ მეწყერი.
სიკვდილი რაა? – ვერაფერს მიზამს
პოეზიაში დავიმეწყრები.

მარიამ ბაქანიძე

***

ორპირი ღამე, „საალერსოდ" ჩასაფრებული.
უტიფარ ღრეჯვით ეპარება ქორფა ალიონს.
არ შეიძლება!
მთაწმინდაზე ახსენო ღმერთი....
და მერე სული ბრძოლის ჟინით არ გადარიო.
არ შეიძლება დიდგორიდან ამოყრილ "ლერწებს"
ნამუსს ხდიდნენ და სული ედგათ "ნადიდგორალი"
წარსულმა - ყველა მეომარი მოიხმო თხემზე!
მცირე იხილა...უცხოდ დუმდა დანატოვარი.
დედის ცრემლები გუბედ ედგა დიდედას პეშვზე,
დამჭკნარ თითებზე მოჟონავდა, როგორც მირონი...
წარსული ნალებს აჭედებდა ოფლიან მერნებს,
მხრებს ატოლებდა პაპის ჩოხას კავკასიონი.
არ დაიჩოქებს! წამოდგება ქართველი ფეხზე!
და გამოსტაცებს ორპირ ღამეს "ქორფა ალიონს"
არ შეიძლება მთა-წმინდაზე ახსენო ღმერთი!
და...ცრემლით სავსე "თიხის ქვევრი" მტერთან დალიო!

***

საოცრება ხარ გულო-პატარავ. მუჭისოდენა..
ყოვლის ჩამტევო.
ყოფამ რა გზები არ მომატარა,
სად არ გატარე ღამენათევო. დედის მუცლიდან...
ასე ერთგულად ,
ასე თამამად ვებრძვით გრიგალებს. მე ქალი მქვია.
შენ კი - პატარა...
გამეღვიძება როს იტიალებს!
ამიფეთქდება სულში შენი მზე,
უხმო ძახილი, მშვიდი დინება.
ვიცი, მდარაჯობ
„შოლტებით" დაღლილს,
"კარიბჭესთან"თუ ჩამეძინება.
სად არ ვიარე უგუნურ ხედვით,
სად არ გეძებე ჩემო უფალო!
მკერდ- ქვეშ მყოლიხარ უხილავ მზეში,
აწ და მარადის ჭირისუფალო!

***

ცხოვრება რაა?
წისქვილს ჰგავს უფრო.
დაფშვნილ სიცოცხლეს ფქვავს
და ღიღინებს.
ბედი?
უგულო - დოლაბის ქვაა.
მისთვის ბუდბუტებს ...
არ გაგიღიმებს!
ყოფნა?
მიწაა გაუმაძღარი,
თესე და მარგლე რამდენიც გინდა!
მხოლოდ კეთილ თესლს ადებს
საწყაულს.
მხოლოდ სიკეთეს ჩაგითვლის
მინდად.
არყოფნა?
ცაა...
სიტყვად ნათქვამი.
დატოვებული მყოფადში ბინდად.
დარაბებს მიღმა თეთრი აკვანი
მზეს მიჰქონდა და...
ცეცხლისფრად წვიმდა.
ცხოვრება რაა?
სიცოცხლის წრთვნა და...
ყოფნა არ ყოფნის დავა ხილული.
არყოფნა?
ყოფნის ტყუპისცალია"მეხთან"
ჭიდილში დაბადებული!

ნინიკო მშვიდობაძე

ავტოპორტრეტი

ჩემი დამეწყრილი
თვალები და
ფრთებად ქცეული
ხელები
და ხერხემალი - ისე
დრეკადი,
როგორც ტირიფი
და ბაგეებზე
შემხმარი სიტყვები
და
კიდევ ცრემლები,
ცრემლები,
რომლებიც მლაშეც
აღარაა...
შენ რომ მოდიხარ
და ვერ მოდიხარ...
მე რომ წავედი და
ვერ წავედი...
გზა რომ გაიყო და
მაინც ერთი როა...
ბილიკი ძეძვიანი
თუ უძეძვოც...
დამეწყრილ
თვალებში ამოსული
ეკლები
და ვეღარ მოხდილი
დაავადება სახელად
სიყვარული...
მე...
ვეღარ ვსუნთქავ და
ვეღარ ვხედავ და
ვეღარ ვისმენ და
ვჩუმდები...
სად ხარ?
მოდი და მითხარი,
რომ თვალები უნდა
ამეხილოს,
რომ ხურჯინივით
დასაბერტყი,
რომ ჩემი სულია
დასაბერტყი,
რომ გზა ისევ უნდა
გავაგრძელო,
რომ მიყვარდეს და
უფრო მეტად,
რომ ვუყვარდე და
უმეტესი...
ჩემი დამეწყრილი
თვალები და
ფრთებად ქცეული ხელები
და ტირიფივით
დრეკადი
ხერხემალი -
ანუ მე -
ბაგეებს შეყინული
ერთადერთი სიტყვით:
მიყვარხარ...
რომელსაც ალბათ,
ოდესღაც,
როცა:
სისხლისფერად ამოვახველებ!!!

***

ჩვენ,
ვისაც როგორღაც
გაგვიმართლა,
რადგან აქა ვართ;
ჩვენ, ვინც
ვერასდროს
შევისწავლეთ
საკუთარი თავი
და ზურგი
შევაქციეთ ღმერთს;
ჩვენ, ვისთვისაც
სიტყვებმა ფასი
დაკარგეს
და ცხოვრება
დროში გაწერილი
მოძრაობებია,
სახლში იძულებით
გამოკეტილები
დავრჩით და
აღმოვაჩინეთ:
რომ ჩვენი დედები
და მამები უჩვენოდ
დაბერებულან;
რომ ჩვენი შვილები
შეყვარებულები
არიან;
რომ ჩვენს
მეზობელს თურმე
მარჯვენა ყურით არ
ესმის,
ხოლო სახლის წინ,
კამელიის
უზარმაზარ ვარჯში
ბეღურების ოჯახი
ცხოვრობს
ჩვენ, რომლებსაც
გვეგონა, რომ
ვერაფერი
შეგვაჩერებდა,
ერთმანეთისა და
საკუთარი თავის
პირისპირ
აღმოვჩნდით
და გაგვახსენდა:
რომ დიდი ხანია არ
გვიტირია,
არ გვითქვამს:
მიყვარხარ,
არ დაგვისვამს
მთავარი კითხვა: რ
ატომ ვარ?
რისთვის?
ჩვენ, ვისაც
გვჯეროდა, რომ
ყველა შიში
დაძლეულია,
დღეს შეგვეშინდა:
უჩვენო ქუჩების,
უჩვენო სახლების,
უჩვენოდ ამოსული მზის
ახლა ვსხედვართ და
ვდარდობთ:
უჩვენობით
გამოტოვებულ
დღეებზე,
ჩვენიანების
უჩვენოდ ჩავლილ
ცხოვრებაზე,
უჩვენო შვილებზე,
უჩვენო მშობლებზე,
უჩვენოდ
დაკაცებულ და
დაქალებულ ბავშვებზე
ამ უსასრულო
გადარბენებში
ყველაზე მთავარი
რამ გადაგვვიწყებია:
რომ ადამიანად
მოსვლის
ერთადერთი
გამართლება -
სიყვარულია
ჩვენ
და მეხსიერების
შორეული
კუნჭულებიდან
ამოტივტივდება
ფრაზა, როგორც
ჭიდილი
სიცოცხლისა და
სიკვდილისა,
როგორც იმედის
მარადიული შუქი:
"შემოფრენილმა
გულწითელამ
თითქოს სიცოცხლე
შემოიტანა,
ისე ავღელდით" .

მერაბ ჩხაიძე

... ცოტა მაცადე და... მოგიყვები...

ზღაპარი

– აბა, დროზე, ისაუზმე და წავიდეთ!

– არ მინდა, რა, დე, ძალიან გთხოვ!

– ცაფო, აღარ მოგბეზრდა ყოველ დილით ერთი და იგივე?

– არა, არ მომბეზრდა, არა, შენთან მინდაა, – ატირდა პატარა ციყვი ცაფო.

– სულ ჩემთან არ ხარ? მთელი საღამო, მთელი ღამე, ჰა?

– დღისითაც მინდა შენთან, დე, დღისითააც, – ტირილს უმატა.

– ცაფო, შვილო, მეც მინდა შენთან, ძალიან მინდა, მაგრამ სურსათის მარაგი ვინ უნდა შეაგროვოს, თუ არა მე? მთელი ზამთარი რითი უნდა ვიკვებოთ? არ გიფიქრია?!

– კი, მიფიქრია, მაგრამ რა ვქნა, რომ შენთან მინდა, დე? – ტირილს განაგრძობდა ცაფო.

– კმარა! შეწყვიტე ტირილი! არ გამოვა! სწრაფად, ისაუზმე და ბებოსთან! მეტი აღარ დამალაპარაკო! – ხმას აუწია დედამ.

შეატყო, რომ არ გაუვიდოდა, რამდენიმე თხილის გული მიირთვა და კაკლის ლებანიც დააყოლა.

– აბა, წავედით! – და ხიდან ხეზე სკუპ–სკუპით კარგა დიდი მანძილი გაიარეს.

ბებო უკვე რა ხანია სოროს ქვემოთ, მსხვილ ტოტზე იჯდა და საყვარელ ცაფოს ელოდებოდა.

– მოდი, მოდი, ბებო გენაცვალოს! როგორ გელოდები ყოველ დილით, რომ იცოდე!

– აბა ცაფო, ბებოს დაუჯერე, საღამოს მოგაკითხავ, – უთხრა დედამ.

– ეჰ, როდის მოვა ეგ „საღამო“?!

ბებოს გული ატკინა ამ სიტყვებმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ცაფო უხალისოდ მიუჯდა გვერდით, ხმას არ იღებდა. ბებომ სოროდან თხილი და მარცვლებით სავსე გირჩა გამოუტანა.

– არ მინდა! ვისაუზმე! – მკვახედ თქვა.

ბებომ ცაფოს გახედა, ძალიან ეწყინა, სიტყვაც არ უთქვამს, ისევ სოროში შებრუნდა, მერე დაუძახა:

– ცაფო, ბებო, აბა, შემოდი, რაღაც უნდა გითხრა.

– უფ, რა უნდა ერთი, ვიცოდე?! – გაიფიქრა და – ჰო, მოვდივარ, მოვდივარ, – უთხრა.

უხალისოდ შევიდა. ბებო საწოლზე ჩამომჯდარიყო.

– ცაფო, არც ისე პატარა ხარ, რომ ვერ ხვდებოდე, გულს როგორ მტკენ.

– აბა, რითი? – სხვათა შორის იკითხა ცაფომ.

– თუნდაც იმით, რომ აი, ახლა, ასე უგულოდ მელაპარაკები.

– კარგი რა, ბებო!

– არა, ცაფო, „კარგი რა“ არა! ყურადღებით მომისმინე! მე ასეთი მოხუცი კი არ დავბადებულვარ. მეც მიყვარდა დედა, ყურადღება, თამაში. ყურადღება ყველას სიამოვნებს, მაგრამ ის არ უნდა იქცეს მთავარ საზრუნავად! თუ ასე მოხდება, მაშინ ვერავის შეიყვარებ და არც შენ არავის ეყვარები. ჩვენ, ციყვები კეთილები, მშრომელები და მზრუნველები ვართ, და, სხვათა შორის, არც ისე უშნო ცხოველები. თუნდაც ჩვენი კუდი რად ღირს!.. ეჰ, ერთ დროს როგორი კუდი მქონდა?! ფაფუკი, ფუმფულა, მოქნილი... რას იზამ... ჰოდა, იმას გეუბნებოდი... ჩუ!.. მგონი კვერნა გვიახლოვდება... გარეთ თავი არ გაჰყო!

– კვერნა?

– ჰო, კვერნა, ჩუ...

– მე არ მეშინია! – თქვა და სოროდან წამში გავარდა!

– არა, ცაფო! რას ჩადიხარ?! –

დაიყვირა ბებომ და თვითონაც გაჰყვა.

კვერნამ, რომელიც სოროსთან ჩასაფრებულიყო, ცაფოს თათები მოხვია და სხვა ხეზე ისკუპა.

– ცაფოო! – ბებო კვერნას დაედევნა.

– მიშველე, ბებოო! – ყვიროდა ცაფო.

– მოვდივარ, ცაფო! – და დიდ ნახტომში კვერნას ზურგზე მოახტა! ჩასცხო და ჩასცხო თათები.

კვერნამ სიმწრისგან კბილები დაკრიჭა, მაგრამ ცაფო მაგრად ეჭირა და თავის სოროსკენ მიაქანებდა. ასე, სამივე – კვერნას თათებში ცაფო, ზურგზე კი ბებო. საბედნიეროდ, კვერნას სორომდე დიდი მანძილი იყო და დაღალა გაუთვალისწინებელმა ტვირთმა. ამის გამო, ერთ–ერთი ნახტომი ვეღარ გამოუვიდა დ, მომდევნო ხემდე ვეღარ მიაღწია და მოწყვეტით დაეშვა დაბლა. ცაფომ თვალები დახუჭა:

– ბებოო! – ძლიერად დაიყვირა.

ამ დროს ბებომ კვერნას ყურზე უკბინა. კვერნამ თათი მოუქნია და ცაფო დაუვარდა. ცაფომ იყოჩაღა და ტოტს ჩამოეჭიდა. გაცხარებულმა კვერნამ, ნადავლი ხელიდან დამისხლტაო, ახლა ბებოს ორივე თათი მოუქნია და... კუდი!... კუდი მოაწყვიტა! კვერნა მიწას დაენარცხა. არავინ იცის, რამდენ ხანს იწვა გაშხლართული...

შეშინებული ცაფო და ღონეგამოცლილი უკუდო ბებია სოროსკენ მიემართებოდნენ. ბებო ხმას არ იღებდა. რამდენჯერმე გახედა ნაკუდარ ადგილს... სოროში რომ შევიდნენ, ბებო საწოლზე დაწვა... ისე უძგერდა გული!!! ცაფო ახლაღა მოეგო გონს.

– რა მეშველებოდა, ბებო რომ არა? როგორ გადამარჩინა? კუდი დაკარგა.... ჩემს გამო... ვის გაუგია უკუდო ციყვი?.. ჩემი ბებო...

– ბებო.... – ჩურჩულით თქვა.

ბებო ხმას არ იღებდა.

– ბებო, მაპატიე, გთხოვ...

– უკვე გაპატიე....

– ასე სწრაფად?...

– კი, ასე სწრაფად....

– ბებო,...ახლა... კუდის გარეშე რა უნდა ქნა?

– ეჰ,კუდი... კუდი... რა კუდი ის იყო? იმ კუდმა თავისი კუდობა დიდი ხანია მოლია... მოდი ჩემთან, მოდი... რაკი ცოცხალი ხარ, აღარაფერს ვჩივი...

– ბებო, როგორ გიძგერს გული?!

– ჰო... – სუნთქვა გაუხშირდა

– ბებო, ცუდად ხარ? – შეშინდა ცაფო.

– არა, კარგად ვარ... ძალიან კარგად... ასე კარგად ჯერ არ ვყოფილვარ... პირველად არის, რომ დღისით მეძინება... დედაშენმა მითხრა, კარგად მღერისო, მართალია?

– არ ვიცი, დედას მოსწონს.

– ჰოდა, მიმღერე...

– კი, ბებო. რა გიმღერო?

– აი, დედაშენმა რომ გასწავლა, ის....

– ციყვების იავნანა?

– ჰო,ციყვე...ბის... იავ....ნანა...

– კი, ბებო, ახლავე!

*დიდხანს უმღეროდა ცაფო... დიდხანს,... ისე ტკბილ

„ჩვენ ყველა კანდიდატებს პატიოსან საარჩევნო სიტუაციას ვთავაზობთ“...

ალიონი. 25 სექტემბერს, პარტია „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ ოზურგეთის ოფისში,აღნიშნული პარტიის შტაბის თავმჯდომარე **ლელა ნაცვალაძემ** და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გურიის საარჩევნო ოლქში ნინი შეწირულმა ბრიფინგი გამართეს.

– ჩვენ რეგიონში პულსზე გვიდევს ხელი და სამართლიანად ვაფასებთ იმ მოვლენებს, რაც ხდება მუნიციპალიტეტში.

ჩვენ ვგეგმავთ პატიოსან საარჩევნო კამპანიას, ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ამომრჩეველი მოვისყი-დოთ. ჩვენ, არჩევის შემთხვევაში, ვგეგმავთ გურიის მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას.

ამჟამინდელი ხელისუფლება ნაც. მოძრაობას დაემსგავსა, როცა გვითვალთვალებენ, ჩვენ თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებენ. რამდენიმე ავტომობილის ნომერი დავაფიქსირეთ, რომელთა ფოტოც დევს სოციალურ ქსელში.გული მწყდება, რომ საკრებულოს დეპუტატებს ვხედავ ფოტოგრაფების როლში. ერთ-ერთი დეპუტატი მივიდა ერთ-ერთ მოქალაქესთან და ფულად დახმარებს დაჰპირდა.

ერთ ფაქტს მოვიყვანთ. სოფელ მამათში ერთ-ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახი კარგა ხანია ითხოვდა სახლის გადახურვას. მათ რამდენჯერმე მიმართეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს და ლანჩხუთ-ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატ ნინო წილოსანს. ჩვენი ამ ოჯახში მისვლის მეორე დღესვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მამათის ტერიტორიალული ერთეულის წარმომადგენელმა მიუტანა მათ სახურავის მასალა და საკვები პროდუქტებიც გადასცა.

რაც შეეხება სოფელ შრომას, აქ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი აქაურებს დენის ტრანსფორმატორის ყიდვას შეპირდა. ჩვენ ვთავაზობთ შეხვედრას „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ამ თემებზე სასაუბროდ –განაცხადა ლელა ნაცვალაძემ.

ლელა ნაცვალაძის თქმით, 15-20 დღის წინ „ქართულმა ოცნებამ“ „ტრაილერით“ ოზურგეთში შემოიტანა ფქვილი, ბრინჯი და სხვა პროდუქტები და სპორტის სასახლეში დაასაწყობა

გაზეთ „ალიონის“ კითხვაზე, რატომ არ ასახელებს კონკრეტული ბრალდებების ადრესატებს, ნაცვალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე იგი თავს იკავებს გვარების დასახელებისაგან, თუმცა მათ გააჩნიათ სათანადო მტკიცებულებითი ვიდეო და ფოტო მასალა.

თავად მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა **ნინი შეწირულმა** განაცხადა, რომ მათ საარჩევნო ნომერი მხოლოდ სამი დღის წინ აიღეს. იგი არ ადასტურებს ამომრჩეველზე ფულის გადაცემის ფაქტს.

–ეს იყო მხოლოდ ამომრჩეველზე ფულის გადაცემაზე დაპირება. *ჩვემ აუცილებლად გავასაჯაროებთ იმ ხალს, მუნიციპალიტეტის კონკრეტულ დეპუტატებს, რომლებიც მოქალაქეების მოსყიდვას ცდილობენ. ჩემთვის მისაღებია ყველა ის ადამიანი, რომლებიც ფულს ჩადებს ბიზნესის განვითარებისათვის, ან ის სპორტსმენი, რომელიც ასევე ფულს დებს სპორტის განვითარებისათვის და არა პოლიტიკაში მოსვლისთვის გულწრფელი, პატიოსანი ბრძოლა გვექნება* – განაცხადა ნინი შეწირულმა.

გაზეთი „ალიონი“ დაუკავშირდა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე **დავით დარჩიას** და ლელა ნაცვალაძის მიერ ბრიფინგზე გაჟღერებულ კონკრეტულ ბრალდებებზე სთხოვა კომენტარი:

– *საიდან მოიტანეს ეს აბსურდი. ჩვენ არც არავის ვუთვალთვალებთ და „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში წარმატების მისაღწევად არც მოსახლეობის მოსყიდვა სჭირდება. თავად დეპუტატობის კანდიდატი ნინი შეწირული სპორტის სასახლის წინ არ ცხოვრობს და არ შეეძლო ენახა, დაიცალა თუ არა ე.წ. „ტრაილერი“ სპორტის სასახლეში? ამ ზღაპრების მოყოლას სჯობს საარჩევნო კანპანია გააქტიურონ და მოსახლეობას სწორი, დაზუსტებული ინფორმაცია მიაწოდონ* – განაცხადა დავით დარჩიამ.

შოთა გოგიბერიძე: არ დავუშვებთ არჩევნების გაყალბებას სამოქალაქო დაპირისპირების ფასადაც რომ დაგვიჯდეს

ალიონი. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, **შოთა გოგიბერიძე** ამომრჩეველებს 25 სექტემბერს,ქ. ოზურგეთის საკათედრო ეკლესიის ბაღში, გმირების მემორიალთან შეხვდა.

შოთა გოგიბერიძე: –*უამრავი ცილისწამება ვრცელდება ჩვენს წინააღმდეგ. მოგონილ ქაღალდებს აფრიალებენ მტრულად განწყობილი მედიასაშუალებები. ცილისწამებებით, ფეიკნიუსებით ცდილობენ გვებრძოლონ. მთავარი ამ ბრძოლაში ჩვენი ერთგული დამოკიდებულებაა. ბოლომ-დე უნდა დავიხარჯოთ იმისთვის რომ მიზნებს მივაღწიოთ. რატომ უნდა გვიწევდეს იმის მტკიცება, რომ ჩვენ არ ვართ პრორუსული ძალა. ჩვენ ქართული ძალა ვართ. ნამდვილად ქართული, ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია ვართ და ეს არაერთხელ დავამტკიცეთ. სწორედ ამის გამო გვებრძვიან ლიბერალური და არაქართული ძალები. ცდილობენ მაქსიმალურად დაგვიგდონ რეიტინგი რომელიც ასე მომძ-ლავრებულად გვაქვს პატრიოტებს. ჩვენ გვაქვს მაღალი რეიტინგი. ჩვენი სატელეფონო ცენტრები აქტიურად მუშაობენ.*

პარლამენტში არ გვჭირდება მომღერლები და სპორტსმენები. გვჭირდება პროფესიონალები და „პატრიოტთა ალიანსს“ ჰყავს ასეთი გუნდი. ჩვენ გვაქვს საჭირო პროექტები. ჩვენი დივერსიფიცირებული აგრარული პროექტებით გამარჯვების შემთხვევაში დავეხმარებით ფერმერებს, გლეხებს თავიანთი პროდუქციის შექმნასა და რეალიზაციაში. ამით სახელმწიფო დიდ მოგებას ვერ ნახავს. მოგება გლეხმა უნდა ნახოს და ფეხზე დადგეს. ჩვენი პროექტები არ არის ველოსიპედის გამოგონება. ასე იმუშავა ომის შემდგომმა ევროპამ. მოგეხსენებათ რა წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნებმა. ჩვენი მეზობელი თურქეთი დღესაც ამ პროექტებით მუშაობს. ანუ, სახელმწიფო ბიუჯეტს აქვს საინვესტიციო დატვირთვა. ის აფინანსებს ოჯახებს, ეხმარება სოფლის მეურნეობის და სხვა წარმოებების გაფართოებაში. მინდა დავდო ფიცი ჩემი ერის წინაშე რომ ჩვენ არასოდეს ვულალატებთ ეროვნულ ინტერესებს, ჩვენ დავიცავთ და აღვადგენთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აღვადგენთ ჩატეხილ ხიდებს აფხაზ და ოს ძმებთან, დავამთავრებთ სილატაკეს საქართველოში, ყველა ოჯახს დავუდგებით გვერდით, დავასრულებთ ერის განად-გურებას.

იყავით იმედიანად. ჩვენ ვერავინ მოგვერევა.თქვენ დიდი მისია გაკისრიათ. უნდა დაიცვათ ხმები. უნდა ვიყოთ მობილიზებული არჩევნების დღესაც და არჩევნების დასრულების მომენტშიც. საჭირო თუ იქნება ასე ორგანიზებულად უნდა მოვიყროთ თავი და შევუტიოთ არჩევნების გამყალბებლებს. ჩვენ არ დავუშვებთ არჩევნების გაყალბებას. სამოქალაქო დაპირისპირების ფასადაც რომ დაგვიჯდეს ჩვენ ამ დაპირისპირებაზე წავალთ და გავიმარჯვებთ–განაცხადა გოგიბერიძემ.

ევროპის სპორტულ კვირეულსა და სასკოლო სპორტის დღეს ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა შესაბამისი აქციით გამოეხმაურა

ევროპის სპორტულ კვირეულსა (23-29 სექტემბერი) და სასკოლო სპორტის დღეს (25 სექტემბერი) ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა შესაბამისი აქციით შეუერთდა. ბავშვთა და სასპორტო სკოლის ერო-ვნული ფედერაციის ორგანიზებით გამართულ ამ აქციაში 20-მდე ბავშვი მონაწილეობდა.

პანდემიის საწინააღმდეგო შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით, შედგა გარბენი ეროვნული სასკოლო ოლიმპიადის დროშით, ბავშვებმა ინდივიდუალურად ჩაატარეს სხვადასხვა სპორტული აქტივობები.

სპორტულ აქციას ხელმძღვანელ-ობდნენ ბავშვთა და სასპორტო სკოლის გურიის რეგიონული კოორდინატორი დიტო ტულუში და მე-2 სკოლის სპორტის მასწავლებელი მარინა კოტრიკაძე.

ერთი ლამაზი ოჯახის ტრაგიკული ისტორია

***

ასე შეიძლება ვუწუდოთ ამ ლამაზ ლექსს, რომლის ადრესატი პოეტ ვახტანგ ღლონტის დედას მყვალა ჯინჭარაძის ოჯახია.

ჯერ სრულიად ახალგაზრდა რძალი გარდაიცვალა, რომლის ობოლ ვაჟს ბებია-ბაბუა ზრდიდა... გავიდა წლები, გარდაიცვალა ქალბატონ მყვალას მეუღლე–რამინი: შემდეგ უფროსი დათო. ორი წლის წინ კი უმცროსმა ვაჟმა გორამ ობოლ ძმისშვილთან ერთად ერთ დღეს დატოვეს წუთისოფელი...

ულამაზეს დედაჩემს
ლამაზები ჰყავდა ყველა;
ქმარიც,შვილიც,შვილიშვილიც,
მაგრამ აქ ვინ დაუყენა.
ჯერ - ფეხმძიმე, ნორჩი რძალი...
ძე იმისი ზარდა შვილად;
უდედობა რომ არ ეგრძნო...
ძნელ დროშიც არ აშიმშილა.
მერე - ქმარი...ორიც ვაჟი -
ერთმანეთზე უკეთესი;
განა რძალზე ან ქმარ-შვილზე,
შვილიშვილზე მთხოვა ლექსი.
თან ბოდიშიც მოაყოლა...
იქეთ დამრჩა საბოდიშო;
რა სინდისით უნდა მეთქვა -
ლექსი ასე არ მოდისო...
დგას ოთხმოცზე მეტი წელი,
თუმც უსირცხვოდ ჭამეს წლებმა...
სულ ესაა,რაც შევძელი,
ნეტავი თუ ჩამეთვლება?!

ვახტანგ ღლონტი

ჩოგბურთში ოზურგეთის ჩემპიონატის ფინალისტები ცნობილია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჩოგბურთო პირველობაზე პირველი ფინალისტი დავით თავართქილაძე გახდა, რომელმაც სამ სეტში 1–6. 6–2 6–4 გასული წლის სამგზის ფინალისტი მამუკა კილაძე დამარცხა.

მეორე ფინალისტის გამოსავლენად გივი სიამაშვილმა ორ სეტში 7–5 6–0 დამარცხა ტიტულოვანი ირაკლი გელაშვილი და ზედიზედ მესამედ მოიპოვა ფინალის საგზური სადაც ის დავით თავართქილაძეს შეხვდება.

თოჯინები, რომლებიც ერთი ნახვით შეგიყვარდებათ

ეს არ გახლავთ ექსკლუზივი. სოფელ ოზურგეთელი **მაია ტულუშიკაშალომიძის** ხელსაქმე მედიის ყურადღების ცენტრში ჩვენამდეც მოქცეულა და დარწმუნებული ვარ, ჩვენს შემდეგაც მოექცევა. საქმე ისაა, რომ ქალბატონი მაია უბრალო ყაისნაღით არა მხოლოდ საოცრად ქსოვს, არამედ ტიპაჟთა შედევრულ პორტრეტებს ქმნის. თითოეული მათგანი იმდენად ნატურალურია, ლამის გაგესაუბროს, გაგეცნოს, გაგიღიმოს, გეჭორაოს კიდეც... კარგ ხასიათზე რომ დაგაყენებთ, უდავოა. ეს არ არის ჰობი, ეს უკვე პროფესიაა, რომელსაც, როგორც პროფესიონალი, ქალბატონი მაია ვერასოდეს შეელევა.

ორშაბათზე ამბობენ მძიმე დღეაო. გასული ორშაბათი ჩემთვის მძიმე კი არა, იმდენად ჰარმონიული დარჩა, დიდხანს მემახსოვრება. მე ამ დღეს მაია და თავისი თოჯინები გავიცანი: როგორც ზღაპრის გმირები - პეპი, ჯამბაზი, დათუნა, ვინიპუხი, ბურატინო.... ისე რეალური, ჩვენი თანამედროვეები – ლილე, რონალდო, მესი, ფერადკანიანი ბიჭი, „ჯაჯო“ (გია ჯაჯანიძე)... ყველას ჩამოთვლას, ალბათ, მხოლოდ ქალბატონი მაია შეძლებს. იცით, როგორები არიან? აი, ერთი ნახვით რომ შეგიყვარდებათ.

მართალია, სკოლაში კარგად სწავლობდა და არანაკლებ ქსოვდა, გათხოვების შემდეგ საქსოვი დაზგაც კი შეუძენია და მცირე ბიზნესის წამოწყებაც უცდია, მაგრამ თოჯინების შექმნის იდეა გაცილებით გვიან გასჩენია, მისი ხორცშესხმა რამდენიმე წლის წინათ დაუწყია და იცით, ვინ მოვლენია ქალბატონ მაიას პირველ და განუმეორებელ მუზად? თავისი მშვენიერი შვილიშვილი ლილე, ლილე-გოგო, როგორც თვითონ ეძახის. მერე „იუთუბზე“ შესულა და იქ ნანახი თოჯინებით ისე ბედნიერად „მოწამლულა“, რომ მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა პრაქტიკულად შეუძლებელი ყოფილა.

თითოეულ თოჯინას ისე ეფერება, როგორც პირმშოს.

„პეპი“ თბილისში გაიყიდა, „რონა-ლდო“ და „მესიც“ მალე ჩამაფცქვნეს ხელში, – გულდაყვეტილი ამბობს და დასძენს, რომ შემდეგ შექმნილი ეს პერსონები ისეთი ვერ გამოუვიდა.

იმ ტიპაჟების სურათებს მაჩვენებს, რომელთაგან შექმნილი აქვს ნაქსოვი პორტრეტები. ვადარებ ერთმანეთს ამ სურათებსა და პორტრეტებს და გონებაში ჩემთვის ვჩურჩულებ: „თვალი ჰგავს? – ჰგავს! ცხვირი ჰგავს? – ჰგავს! ნიკაპი ჰგავს? – ჰგავს! ესე იგი ჰგავს!!!“

„ჯაჯოს“ დავადგი თვალი, კარგად არის დაჭერილი ტელეწამყვანის ხასიათი. არ გამოპარვია, „ჯაჯომ“ დიდი დრო წაიღო, მაგრამ კმაყოფილი ვარო, მითხრა,

ელენე კვირჩილაძე

ანასტასია ხინთიბიძე

ნაქსოვი თოჯინები განსაკუთრებით ბახმაროს დამსვენებელს მოსწონს. საერთო ჯამში 200-მდე თოჯინა უკვე გაუყიდია. როგორც მითხრა, ეს მისთვის, ბიზნესზე უფრო, 200-მდე ტკივილია:

„როცა ვყიდი, სული და გული მიმდის, მაგრამ რა ვქნა, ძაფის შესაძენი ფული ხომ უნდა გამოიმუშავო? 200-მდე თოჯინა გავყიდე უკვე. თუ დამიჯერებთ, ჩემთვის ეს, ბიზნესზე უფრო, 200-მდე ტკივილია“.

ოჯახის წევრებს – მეუღლეს, შვილებს, რძალს კარგად ესმით უფროსი დიასახლისის ხელსაქმის მნივნელობა და ყველანაირად ცდილობენ, სხვა საქმით არ მოაცდინონ იგი:

„მეუღლე, შვილები და რძალი ყველანაირად ხელს მიწყობენ, განსაკუთრებით ვემადლიერები რძალს. ადვილი ასატანი არ არის ისეთი დედამთილი, დილიდან საღამომდე რომ დაჯდება და ყაისნაღმომარჯვებული და ძაფებში გახლართული ქსოვის მეტს არაფერს აკეთებს“.

ჩვენი წერილის შემოქმედ პერსონაჟს მეგობრებმა სიურპრიზი მოუწყვეს, მისი რამდენიმე თოჯინა გერმანიაში გაგზავნეს თოჯინების საერთაშორისო კონკურსზე, სადაც 3 ათასზე მეტი თოჯინა მონაწილეობდა, მაიას „ბიჭმა“ ბიჭობა ჰქნა და თავის შემქმნელს მესამე ადგილი ჩამოუტანა შუა ევროპიდან.

მაია გაწევრიანებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურთან არსებულ „ქალთა ოთახში“. აქვე უნდა შემდგარიყო მისი თოჯინების გამოფენა, მაგრამ პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ეს ღონისძიება ჯერჯერობით ვერ შედგა.

მოკლედ, ასეთია მაია ტულუშის ნამუშაკარი. ჩემი აზრით, მისი ხელგარჯილობითი შემოქმედებით უნდა დაინტერესდნენ სახვითი ხელოვნების სპეციალისტები და უფრო მასშტაბური გამოფენისკენ მისცენ მწვანე შუქი ამ უნიჭიერეს ქალბატონს.

ვულოცავთ!

ბარბარე მაჭარაშვილს

ჩემო საყვარელო, გილოცავ სკოლაში, ცოდნის დიდ ტაძარში ფეხის შედგმას. დაე, მთელი ცხოვრება იყავი ბედნიერი, წარჩინებული, სასახელო. გეცხოვროს გაბრწყინებულ და გაერთიანებულ საქართველოში. გფარავდეს უფალი.

შენი ბებიები:

ლალი და ნათუა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +16+27	მზე, ღრუბელი +16+28	მზე, ღრუბელი +15+25	მზე, ღრუბელი +15+23	ღრუბელი +16+23	წვიმა +13+23	წვიმა +13+21
28 სექტემბერი ორშაბათი	29 სექტემბერი სამშაბათი	30 სექტემბერი ოთხშაბათი	1 ოქტომბერი ხუთშაბათი	2 ოქტომბერი პარასკევი	3 ოქტომბერი შაბათი	4 ოქტომბერი კვირა